LUTECIA
Perfume & Cosmetics

The views expressed in this essay are those of the author and do not necessarily reflect the views of the United Nations Economic Commission for Europe, the Georgian Government or any Georgian authorities.

რას ნიშნავს დაბერება

ნელი ბაკურაძე , 84 წლის, ქ. ქუთაისი

რას ნიშნავს დაბერება? - ამ საკითხს დავყოფდი კატეგორიებად: პირველი: როგორ ატმოსფეროში უწევს ადამიანს დაბერება. ადამიანი, რომელიც ოჯახის ერთგულია იმ ოჯახში არ ირღვევა უმცროს - უფროსობის ბალანსი. ოჯახს მატერიალურად როგორც არ უნდა უჭირდეს, დაბერება მაინც მიმდინარეობს ნორმალურად. ოჯახის ყველა წევრი ებრძვის სიღარიბეს და არ სუფევს უპატივცემულობა. აქ სიბერე სიღარიბის გამო მძიმედ მიმდინარეობს, მაგრამ მოხუცი მაინც ლამაზად და მხნედ გამოიყურება, იმიტომ რომ, ოჯახში სიყვარული სუფევს და მოხუცი დარბაისლობით გამოირჩევა. მეორე: ოჯახებს, სადაც არის უსიამოვნებები, არ აქვთ ერთმანეთის ხათრი და მორიდება, მოხუცს უხეშად ეპყრობიან, მას კი თავის დაცვა არ შეუძლია. ამ დროს სიბერე ნაადრევად იწყება, მოხუცი თანდათან გლახდება და მახინჯდება, ამ დროს სიბერე არის სიმახინჯე, უსიამოვნოდ და გაუხარებლად ამთავრებენ სიცოცხლეს.

გადავხედოთ ცოტა უფრო ძველ ოჯახებს. ოჯახი რომელიც მრავალი წევრისაგან შედგება: დედ - მამა, შვილები, ბებია და ბაბუა. უფროსის სიტყვა კანონია ყველასათვის. ოჯახში ორი ადამიანიც რომ გახდეს ავად ერთდროულად, სადილის გამკეთებელიც ყავთ, ავადმყოფის მომვლელიც, სამუშაოზე წამსვლელიც, ყველა თავის საქმეს აკეთებს. ვახშამზე რომ დაჯდებოდნენ, ქეიფი გეგონებოდათ. აქ კი სიბერე ძნელად ემჩნეოდათ, ყველაზე მოხუციც კი ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ასე ლამაზად და მხნედ ამთავრებდნენ სიცოცხლეს. ამას კი ეხლა უვიცობად და გაუნათლებლად თვლიან.

გადავხედოთ ამჟამინდელ ოჯახებს: ოჯახი რომელიც რძალს შეიყვანს ოჯახში და მისთვის უნდა ყველაფერი სიკეთე, ოჯახი რომ ბედნიერი ქონდეს. რძალს მიაჩნია რომ ისინი ამის ვალდებული არიან, იწყებს პრეტენზიებს , ოჯახს ამრეზით უყურებს, ჩნდება უსიამოვნებები, ქმარს აძალებს ჩქარა გაიყონ და გავიდნენ ცალკე, არადა სულ უსიამოვნება ექნებათ, ამ დროს დედამთილ - მამამთილთან ნაადრევად მივიდა უსიამო სიბერე.

საუბედუროდ საქართველოში მომრავლდა გადაგვარებული ოჯახები. ასეთ ადამიანებს თავი ყველაფრის მცოდნედ მიაჩნიათ, სხვა კი უვიცებად.

საერთოდ სიბერე არასასიამოვნო მცნებაა, რადგანაც ცხოვრების სახეცვლილებაა მოახლოებული. მოხუცი მაშინ არის ბედნიერი, თუ მისი ნაშიერი არის ჯანსაღი. ტკბება მათი ყურადღებით, ხარობს მისი სისხლხორცის სიხარულით. ამ დროს მოხუცი საკუთარ ტკივილსაც იოლად უძლებს და ლამაზიც არის. ოჯახსაც ლოცავს და მშვიდად გადადის სამუდამო საცხოვრებელში, ასეთ მოხუცებს დავიწყება არ უწერიათ.

რაც შეეხება პანსიონატის მოხუცებს ამათაც კატეგორიებად დავყოფდი.

პირველი, მოხუცმა რომელმაც მთელი ცხოვრება იშრომა, თავისთვისაც და ქვეყნის სასარგებლოდაც, შვილი არ ეყოლა ან დაეღუპა და დარჩა მარტო, ან საერთოდ დარჩა მარტოხელა, საჭიროებს პატრონს.

პანსიონატი გახდა მისი პატრონი. რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მთავრობას. ეს მოხუცები შედარებით მშვიდად ბერდებიან და შესაძლებლობის მაქსიმუმს ხარჯავენ და დაბერებაც ნორმალურად მიმდინარეობს.
მეორე, რომელიც ოჯახიდან სტრესირებულ მდგომარეობაშია ნამყოფი ისინი წლოვანებაზე ადრე ბერდებიან, მახინჯდდებიან შვილებისა და ოჯახის ნატვრაში კვდებიან გაუხარებლად, თუმცა გლახური სიკვდილის ღირსი არ არიან.

დაბერება ნიშნავს განვლილი ცხოვრების ანალიზსს, სიკვდილის მოახლოებას, რამდენად სწორად იცხოვრე სიცოცხლეში, იმდენად ლამაზად მოგეფერება სიბერე. დაბერება ნიშნავს, ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენას, რომელიც უნდა მოახმარო მომავალ თაობას, საზოგადოებას. ჯანისა და ღონის დაკარგვას და სიკვდილის მოახლოებას.

პირველი ჩემი ცხოვრებისეული გაკვეთილი ასე დაიწყო. 1941 წელს გერმანიის ომში მამა წაიყვანეს. დავრჩი 10 წლის ბავშვი. ავადმყოფ დედასა და პატარა და-ძმასთან ერთად. პირველად გავყიდეთ თუ რამე გაგვაჩნდა ოჯახში, რომ ლუკმა გვეჭამა, მალე მამა ჩამოვიდოდა და მოგვეშველებოდა. მაგრამ ომი დიდხანს გაგრძელდა და მამა საერთოდ არ ჩამოსულა. დედა ბევრს წვალობდა, მაგრამ ოჯახს ძალიან უჭირდა, უნდა მივშველებოდი, დადგა ჩემი პირველი გაკვეთილი. გამოვედი მეხუთე კლასიდან და 13 წლის ბავშვმა, მუშაობა დავიწყე აბრეშუმის კომბინატში მქსოველად, სადაც ვიმუშავე 21 წელი უწყვეტი სტაჟით. ოჯახმაც ამოისუნთქა ცოტა, რადგანაც უსწავლელი დავრჩი მუშაობასთან ერთად დავეუფლე კერვის პროფესიას. სამუშაოდ გადავედი პირველი კატეგორიის ინდკერვის ატელიეში მკერავ მუშად, სადაც მრავალი მადლობა და სიგელი მაქვს მიღებული, სხვადასხვა დონისა და თანამდებობის პირთან ურთიერთობამ, რომელსაც დიდი ერთგულებითა და პატივისცემით ვეპყრობოდი, ცხოვრებისეული კარგი გაკვეთილი მომცა.

შემდეგი ყველაზე მთავარი გაკვეთილი, რომელიც, ჩემს გათხოვებას უკავშირდება. ჩემი მეუღლე იყო ცაგერიდან შესანიშნავი პიროვნება, მაგრამ აქაც მიმუხლთა ბედმა, გახდა ავად და 9 წელი მიაჯაჭვა ლოგინს. ძალიან ბევრი ვიწვალე, არაფერი დამიკლია მაგრამ, 9 წლის შემდეგ გარდაიცვალა. დავრჩი მარტო დაავადებული, ბევრი წვალების შემდეგ, მიპატრონა პანსიონატმა. ასეთი იყო ჩემი ცხოვრებისეული გაკვეთილი.

ჩემო ძვირფასო ახალგაზრდობავ, ჩვენ არ ვიცით ცხოვრება რას გვიმზადებს, ამიტომ ყველა სიძნელეს პირველ რიგში უნდა შეხვდეთ მშვიდად. არ ავყვეთ ემოციებს, სიმშვიდე აუცილებელია, რომ ნერვები წესრიგში გგვქონდეს. ნერვების აყოლა თქვენ გავნებთ, იყავით მშვიდი და მტკიცედ. თუ საჭიროა დაიხმარეთ მედიცინა, რომ ნერვები წესრიგში გქონდეთ. არ დანებდეთ სიძნელეებს, მშვიდად შეუტიეთ უსამართლობას, ნუ აყვებით ემოციებს, იყავით სამართლიანები, ჰუმანურები, მიმტევებლები, სიმართლის დამცველი, შეუპოვარი და თქვენ აუცილებლად გაიმარჯვებთ.

მე მაგალითად, შესაძლებლობა რომ მომცა, მშობლების მოვლას შვილებს ვალდებულებად დავაკისრებდი. რომლებიც უხეშად მოექცევიან მშობლებს, მკაცრ სასჯელს მოვახდევინებდი. შევკრიბავდი ყველა იმ მოხუცს, რომლებიც ზედმეტ ტვირთად მიაჩნიათ ოჯახებს და უპატივცემულოდ ეპყრობიან, დავაკომპლექტებდი მისი ცოდნისა და შესაძლებლობების მიხედვით. ვამუშავებდი ქვეყნის სასარგებლოდ, თანაც ვუპატრონებდი და ისინიც ბოლომდე ამოწურავდნენ თავის შესაძლებლობას. ასეთი ბრიგადა პანსიონატშიც საჭიროა, მოხუციც უფრო მხნე და ხალისიანი გახდებოდა. ჩვენს პანსიონატში ისეთი ჩავარდნილები მოჰყავთ ზოგჯერ მობრუნებასაც ძლივს ახერხებს - ასეთი ავადმყოფებისათვის საავადმყოფო უნდა იყოს და არა პანსიონატი. ისინი

მოხუცების გულზედაც ცუდად მოქმედებს. რაც შეეხება პოლიტიკას, ყველას საქმე არ არის ეს. ენა უნდა გაიჩუმონ და აცადონ ნამდვილ პოლიტიკოსებს. „ვაი-პოლიტიკოსებისთვის“ სასჯელს დავაწესებდი, ჩვენ მთავრობას კი ვთხოვ, რომ უფრო მეტი მეგობარი და ბაზრები შეიძინონ. როგორმე ქარხნები აამუშაონ, ოჯახებს შემოსავალი გაუჩნდებათ და მოხუციც ლამაზი და ბედნიერი იქნება.

მოხუცის მოგონება

მერე რა რომ წლები გარბის,
და სიბერე გვემატება.
მერე რა რომ ამ სიბერით,
ზოგ შვილს დედა ავიწყდება.

თავის ოჯახის პრობლემებს,
ველარ აუდის შვილი.
რა ქნას დედისთვის აღარ სცალია,
აღარა ყოფნის ნიჭი.

ჩვენ სიბერით შეპყრობილნი,
არ ვნებდებით წლების მოსვლას.
მაგრამ მაინც ეს სიბერე,
ძუ მგელივით მოგვიხტება.

ვხვდებით მედგრად წლების მოსვლას,
არ ბერდება გული.
მაინც გვინდა ამ ცხოვრების,
ტკბილი სიყვარული.

მერე რა რომ წლები გვათოვს,
ჩვენ სიცოცხლეს არ ველევით.
მხარში გვიდგას ახალგაზრდა თაობები,
მათი ეშხით არასდროს არ დავბერდებით.

პანსიონატის ცხოვრება

ლაღი ბუნების ქალი ვარ,
სიბერის კოშკში შესული.
ცხოვრების სიდუხჭირიდან,
პანსიონატში მოსული.

დამხვდა სითბო და ნუგეში,
გამიხანგრძლივეს ცხოვრება.
შრომაში გამორწვთნილი ვარ,
ვერც აქ ვასვენებ გონებას.

ყველა მოსული მოხუცი,
ცხოვრებით გატანჯულია.
მინდა რომ მიუალერსო,
შევუმსუბუქო გულია.

გადმოვიტანე პწკარებად,
ცხოვრება გატანჯულია.
სიბერე ყველას ხვედრია,
არ შეიშინოთ გულია.

ჩვენც ახალგაზრდა ვიყავით,
მხარში ვედექით მოხუცებს.
თაობის ცვლათა კანონი,
ყველას თანაბრად მოუწევს.

მადლობელი ვართ პანსიონატის,
ჩვენზე შრომა და გარჯისთვის.
სიკეთეს ნუ დაიშურებთ,
დაუძლურებულ ხალხისთვის.

თაობათა ცვლა უფალმა,
ზეცაში დააკანონა.
თქვენს შრომას მადლი მოჰყვება,
თავდახრით გიხდით მადლობას.

What Does It Mean to Get Old?

Nelly Bakuradze, 84, Kutaisi

I would like to focus on the following categories:

Firstly, the atmosphere in which a person is getting old. If a person has a committed family, then the balance between young and old generations is not violated. Even if a family has some financial problems, ageing goes on normally. The whole family tries to cope with poverty and everyone respects each other. In this case ageing may be difficult but an old person feels comfortable and peaceful as this family is full of love and an old person is respected. Secondly, in families where conflicts and confrontations often happen and there is no respect for each other, an old person is badly treated and he can't defend himself. In such cases, ageing starts earlier and an old person looks worse and uglier and ends his life unhappily and unpleasantly.

Let's look at families that were common in older times: a family that consisted of a mother, a father, children, a grandfather and a grandmother. The older person's words were like the law. In the case of two people getting sick in such families at the same time, there were enough people to cook, to look after them and to work. Everybody did their own job. A dinner with such families was like a reception. In such families ageing was easy and unnoticeable and even the oldest person in the family used to look nice. They used to end their lives nicely and lively. Now, this is considered as ignorance and implies a lack of education.

Now let's look at modern families: a family that has a daughter-in-law and is trying to please her by all means to have peace in the family. The daughter-in-law usually thinks that the family members are obliged to do all these things and she has some pretensions; this attitude causes conflict and she does everything to persuade her husband to live separately. In such cases, a mother-in-law and father-in-law become old very early.

Unfortunately, there are many such families in Georgia. These people think they know everything and others know nothing.

Generally speaking, ageing is a very unpleasant concept as it is a big change in life. An old person is happy if his children are healthy. He enjoys looking at them and is happy through their happiness. In this case an old person easily endures his own pain and peacefully passes away. Such old people are never forgotten.

As to old people's homes, there are several categories for different persons' needs:

Firstly, the old person who worked the whole of his life for his own and his country's benefit, does not have children, or they died, is alone and needs to be taken care of. The old people's home became a place where he is taken care of. We would like to thank our government for this. These old people become old comparatively peacefully, use the maximum of their capabilities, and ageing goes on normally.

Secondly, those who have had very stressful lives at home, became ugly and old early, and died hoping to see their families and children. Definitely they don't deserve such a death.

Ageing means an analysis of life as it has been lived and the approach of death. The more properly you lived a life, the better your life in old age will be. Ageing means an acquisition of life experience that should be shared with the younger generation and society, as well as the loss of strength and the approach of death.

I would like to share the first lesson that life gave to me. In 1941, my father was taken to the Second World War. I was 10 at that time, living with my mother, small brother and sister. At the beginning, we sold everything so that we could buy food. We thought my father would return soon and help us. But the war continued for a long time and my father didn't come back. My mother worked a lot but we still had a very hard life and I had to help her. And life gave me its first lesson - I was 13 when I left school and went to work at the silk factory as a knitter, where I worked for 21 years. Our life became a bit easier. As I wasn't able to continue my studies, I acquired a new profession of a tailor and moved to work at a tailoring shop where I received many certificates of appreciation and had good relations with many different people who treated me with respect and loyalty and who taught me good lessons in life.

The next most important lesson is related to my marriage. My husband, who was from Tsageri, was a very good person but here again I had bad luck as he became sick and was in bed for nine years. I had very difficult times and did my best to look after him but he died after nine years. I was alone and sick. After many difficulties, I was taken care of by the old people's home. This was my life lesson.

My dear, young generation! We don't know what lessons life will give to us and that's why we should face all challenges calmly. Don't give way to emotions, calmness is necessary to keep your nerves in order. You will hurt yourselves if you do not stay peaceful and strong. If necessary, see a doctor to help you stay calm. Don't give up, fight unfairness quietly, put aside emotions, and be fair, humane, forgiving, brave, and then you will win.

For example, if I had an opportunity, I would make it mandatory for children to look after their parents. If they treat them badly, I would strictly punish them. I would gather all old people who are a burden to their families and are badly treated and find them jobs according to their skills and capabilities, for the benefit of our country, and at the same time I would take care of them so that they can use all of their skills. It is necessary to establish such groups in the old people's home, thus our life would become more lively and interesting. Sometimes very sick, old people are brought to our old people's home. They are not even able to turn around - there should be special hospitals for such people. They shouldn't live in regular old people's homes and it is difficult and depressing for others to observe them. As to politics, it is not for everybody. Some of the current politicians should keep their mouths shut and give a chance to true politicians. I would impose sanctions for pseudo politicians and ask our government to have more friends and new markets, and to construct new factories to enable families to have a source of income and then old people will be beautiful and happy.

Memories of an Old Person

So what that years fly by,
And old age is approaching.
So what that this old age,
Makes mothers forget.

Many own problems,
Has a son.
What to do if he has neither time,
Nor talent for his mother.

We old people,
Don't give up to old age.
But this old age,
Rushes like a wolf.

Face old age bravely enough,
As the heart doesn't get old.
And we still want,
This life to love us.

So what that years snow on us,
We still want to live.
Young generations are next to us,
Who will never make us old.

Life in an Old People's Home

I am a woman of delightful nature,
Living in an old age tower.
And a difficult life,
Brought me to the old people's home.

Warmth and comfort greeted me there,
That prolongs my life.
Used to work a lot,
I can't sit idle here.

All old people here,
Have faced many hard times.
I would like to caress them,
To make their lives easier.

Have lived,
A painful life.
Old age is inevitable,
And don't be scared.

We were once young too,
And cared a lot for old people.
Change in generations,
Will be experienced by all.

I am thankful to our old people's home,
To work and care for me.
Always be very kind to,
Very weakened people.

Change of generations,
Was decided by God.
Your work will be well rewarded,
I thank you, bowing my head respectfully.